საქართველო

5646-01-2-201702160953

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/5646
16/02/2017

GRASS REFORMANDA
აიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 15
თარიღი: 17 02 2017 წ.

ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს
ბატონ **დიმიტრი ავალიანს**
/ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. N27; ტელ: +995 322 309025;
ელ. ფოსტა: Irina_gurgenashvili@yahoo.com /

ბატონო დიმიტრი,

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განიხილა მ/წ 18 იანვარს შემოსული თქვენი განცხადება (რეგისტრაციის N1931/01), რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

როგორც 2014 წლის 18 დეკემბრის N01/53536 წერილით გეცნობათ, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს 2011 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილების შესაბამისად, 2011-2014 წლებში შედგა არაერთი კომუნიკაცია რუსეთის ფედერაციასთან, რომლებშიც არამხოლოდ დადასტურებული იყო საქართველოს განუხრელი პოზიცია მოლაპარაკების გაგრძელების თაობაზე, არამედ განხილული იყო კონვენციით გათვალისწინებული წინასასამართლო მექანიზმების ამოწურვასთან დაკავშირებული საკითხები.

2014 წელს გაგზავნილი ბოლო ნოტით საქართველომ რუსეთის ფედერაციას აცნობა შემდეგი: საქართველოსა და რუსეთს შორის „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" გაეროს კონვენციასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავის თაობაზე, საქართველოს მთავრობა გააგრძელებს საკითხზე მუშაობას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე ამჟამად მიმდინარე რუსეთსა და საქართველოს შორის სახელმწიფოთაშორის საქმეზე (საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II), განაცხადის N38263/08) საქმის არსებით ნაწილზე წერილობითი მოსაზრებების წარდგენისა და მომდევნო ზეპირი განხილვების შემდეგ. წინამდებარე ნოტაში დასმულ საკითხებზე შემდგომი კომუნიკაცია შედგება სტრასბურგში მიმდინარე საქმეზე აღნიშნული სტადიების დასრულების შემდგომ.

პატივისცემით,
ირაკლი ქოიავა

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი

იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტი